ოქმი:**ო05.37210951**
თარიღი:**05/04/2021**

№ 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2021 წელი, 2 მარტი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ეროდი გორდელაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ.ჩავლეშვილი, ლ.სიჭინავა, მ.ბერიძე, ბ.დოლიძე, ვ.ნიჟარაძე, ვ.ჩხაიძე, თ.ბურჭულაძე, ტ.მგელაძე, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, პ.კიღურაძე, ვლ.ბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

მომხსენებელმა ე.გორდელაძემ განაცხადა, რომ პროექტის ავტორია საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი, რომელიც მუდმივად თანამშრომლობს საკრებულოსთან, წარმოდგენილი პროექტის მიღება ემსახურება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის წვრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, მათ მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმების წარდგენას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრებისათვის სამართლებრივი მიმართულების მიცემას, იგი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, რა დროსაც შენიშვნები არ შემოსულა. კომისიის წევრებმა მსჯელობის შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება**:**

პროექტი წარდგენილ და განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

2„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულებ-ის წლიური ანგარიშის ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

მომხსენებელმა ე.გორდელაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროექტის ავტორი კვლავ საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირია, წარმოდგენილი პროექტის მიღება უაღრესად მნიშნელოვანია, რათა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, წლიური ანგარიშების მერიაში წარდგენის პროცესი სისტემურ, მოწესრიგებულ ხასიათს ატარებდეს, რომ არსებობდეს წინასწარ დადგენილი სტანდარტული წესი, რომლის მიხედვითაც და საფუძველზე მოხდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის სტანდარტული ფორმების განსაზღვრა. პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, შენიშვნები არ შემოსულა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მიიღეს გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

მომხსენებელმა ე.გორდელაძემ აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციიდან გამომდინარე შემოსულია პროექტი, იგი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, შენიშვნების შესაბამისად წარმოდგენილი იქნა კორექტირებული ვარიანტი, საკითხზე კომისიის მიერ მომზადებული იქნა დასკვნა, წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება.

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

საკითხზე მომხსენებელმა ე.გორდელაძემ აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციიდან გამომდინარე წარმოდგენილია პროექტი, მიღებული იქნა ნაწილობრივ ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შეეხო-ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს-სადაც უქმდება შრომითი ბაზრის კვლევისა და განვითარების განყოფილება, რამაც განაპირობა სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მიიღეს გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

და დასამტკიცებლად.

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

მომხსენებელმა ე.გორდელაძემ აღნიშნა,რომ პროექტის მიღების მიზეზია მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაცია, რომლის მიზანია ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რა დროსაც მიიღება ნაწილობრივ ახალი სტრუქტურა, კერძოდ-მცირდება განყოფილებათა რაოდენობა ერთი ერეულით, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ეროდი გორდელაძე

მომხსენებელმა ე.გორდელაძემ აღნიშნა,რომ პროექტით განისაზღვრება მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სტრუქტურული და საამშენებლო სამართალდარღვევის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმები და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი, რომელიც მოქმედი კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვითაა შედგენილი, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

ეროდი გორდელაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი